



# საქართველოს



# რესპუბლიკა



## თამარ დეკანოსიძე

თამარ დეკანოსიძე დაიბადა 1922 წლის 3 ნოემბერს, 1933 წელს ფრიადოსნის ატესტატით დაამთავრა თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1943 წელს წარჩინებით დაამთავრა თსსი სამკურნალო ფაკულტეტი. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში იყო სახელობითი სტიპენდიანტი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დატოვეს თსსი-ს პათოლოგიური ანატომიის კათედრაზე ასისტენტად, შემდეგ აირჩიეს დოცენტად, პროფესორად. 1969 წელს აირჩიეს ჰისტოლოგიისა და ემბრიოლოგიის კათედრის გამგედ, ხოლო 1973 წლიდან 22 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა პათოლოგიური ანატომიის კათედრას. ქალბატონი თამარი გამოირჩეოდა როგორც პედაგოგი, ამიტომაც სტუდენტებს ის განსაკუთრებით უყვარდათ; მისი ლექციები უაღრესად შთამბეჭდავი იყო, ვინაიდან თავისი ორატორული ნიჭით მას შეეძლო მრავალრიცხოვანი აუდიტორიის დაინტერესება, რაშიც ხელს უწყობდა არა მხოლოდ პათოლოგიური ანატომიის ღრმა ცოდნა, არამედ დიდი ერუდიციაც. გამოსვლებისას

იგი ფართოდ იყენებდა კლინიკურ-ანატომიურ პარალელებს, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მის ლექციებს.

თამარ დეკანოსიძე იყო დიდი ექიმი, როგორც პრაქტიკოსი პათოლოგოანატომი, ის მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სამედიცინო სამკურნალო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში. ფასდაუდებელია ქალბატონი თამარის პრაქტიკული საქმიანობა, რადგან მის მიერ დასმული თითოეული დიაგნოზი, იქნებოდა ეს გაკვეთის თუ სიცოცხლისდროინდელ გამოკვლევებზე დაფუძნებული, იმავდროულად იყო ღრმა მეცნიერული დასკვნა, რომელიც პედაგოგიურ დატვირთვისაც ატარებდა.

თამარ დეკანოსიძე იყო სამედიცინო-ბიოლოგიურ დისციპლინათა უდიდესი მკვლევარი და მეცნიერი. მის მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს აკადემიკოსებმა: ვ.ჟღენტმა, ირ.ტატიშვილმა, ა.სპერანსკიმ, მ.ბოროვსკიმ. მან 1955 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ნერვული სისტემის სტრუქტურული და ზოგიერთი ფუნქციური ცვლილებები ონტოგენეზში, ექსპერიმენტში“; 1964 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ნერვულქსოვილოვანი ურთიერთობები შვეგუებით-კომპენსაციური პროცესების დროს“; ავტორია 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება საქართველოს სექციური მასალის ანალიზს ნოზოლოგიური პროფილის დადგენის მიზნით, მეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ნერვულ-ქსოვილოვან ურთიერთობებს ნორმალური და პათოლოგიური ზრდის პირობებში, გეროგენული ცვლილებების მორფოლოგიურ საფუძვლებს, სამედიცინო-ბიოლოგიური პროცესების შეფასების აუცილებლობას სინერგეტიკის პოზიციებიდან (მოლეკულური ბიოლოგია, ბიოფიზიკა). გამოქვეყნებული აქვს 65 მონოგრაფია, მათ შორის „შვეგუების და კომპენსაციური პროცესების მორფო-ფუნქციური საფუძვლები“, რომელშიც მიენიჭა ივ.თარხნიშვილის სახელობის პრემია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 187 საკანდიდატო და 72 სადოქტორო დისერტაცია.

ქალბატონი თამარი იყო დინჯი და ღრმში შეუზღუდავი მეცნიერი. ამ თვისებებმა ხელი შეუწყო მის მიღწევებს მეცნიერებაში. იგი ზოგადბიოლოგიური პოზიციებიდან ახდენდა ფაქტების ინტერპრეტაციებსა და განზოგადებას, ამიტომაც მისი კვლევის შედეგები გამოირჩეოდა ორიგინალობითა და მოვლენებს მორფო-ფუნქციური თავისებურებებიდან ასახავდა. განუსაზღვრელია მისი დამსახურება სხვადასხვა დარგის ექიმ-კლინიცისტების მეცნიერული აზროვნების ჩვევების და საზოგადოდ მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეში.

ქალბატონი თამარ დეკანოსიძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე – პედაგოგობაშიც, პრაქტიკოს ექიმობაშიც, მეცნიერებაშიც და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც, ყოველთვის იყო სიმართლისა და სამართლიანობის ერთგული დარაჯი. მისმა კლინიკურ-ანატომიურმა დასკვნებმა ნათელი მოჰფინა 9 აპრილის ტრაგედიას – მშვიდობიანი პატრიოტების დაღუპვის ჭეშმარიტ მიზეზებს, რითაც საბჭოთა კავშირის ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნების დიდი რისხვა გამოიწვია.

უაღრესად შეყვარებულმა თავის ქვეყანაზე მანაც დაიმსახურა თავისი ქვეყნისა და ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რისი დასტურიც არის მისი არჩევა

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად და ის ჯილდოები, რომლებიც მას ჰქონდა მიღებული: წლის საუკეთესო მასწავლებელი, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნისა და ღირსების ორდენები, მრავალი მედალი.

ქალბატონი თამარ დეკანოსიძე არჩეული იყო პათოლოგ-ანატომთა, გერონტოლოგთა, ათეროსკლეროზის და სხვა საერთაშორისო საზოგადოებებისა და ასოციაციების გამგეობის წევრად. იყო საქართველოს მრავალი დარგობრივი ასოციაციის წევრი. ქალბატონი თამარი როგორც მრავალი სამედიცინო ჟურნალისა და გამომცემლობის (დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ქართული ენციკლოპედია, ჟურნალი „Архив патологий“ და სხვა) სარედაქციო კოლეგიის წევრი ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობას. მისი უშუალო მონაწილეობით იყო ჩატარებული არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, როგორც საქართველში, ისე საზღვარგარეთ.

პროფესორი თამარ დეკანოსიძე საქართველოს ღირსეული შვილი იყო და მუდამ დარჩება როგორც ადამიანის, პედაგოგის, ექიმის, მეცნიერის, გულისხმიერი მეგობრის და სამშობლოზე უაღრესად შეყვარებული ადამიანის ეტალონი.

*საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი*